„მზა ჩანაწერები“ (cookies) პოლიტიკა

1. რა არის „მზა ჩანაწერები“?

მზა-ჩანაწერები“ (Cookies) გახლავთ მცირე ზომის მოცულობის ინფორმაციის შემცველი პატარა ტექსტური ფაილები, რომლებიც იგზავნება და მახსოვრდება თქვენს კომპიუტერში, სმარტფონში ან სხვა მოწყობილობაში, როდესაც ეწვევით ვებ-გვერდს. „მზა-ჩანაწერები“ შემდეგ უკან მიეწოდება წარმომშობ ვებ-გვერდს ყოველი მომდევნო ვიზიტისას, ან - სხვა ვებ-გვერდს, რომელიც აღიქვამს „მზა-ჩანაწერებს“. ისეთი და სხვა მსგავი ტექნოლოგიები, მათ შორის, როგორებიცაა “Web Beacons”, “Pixel Tags”, “Clear GIFs“ ან “Flash Cookies” მუშაობს ანალოგიურად და ინფორმაციას ინახავს სურათების, “GIF”-ებისა ან “Plug-in”-ების საშუალებით.

აღნიშნულ „მზა-ჩანაწერების“ პოლიტიკაში „მზა-ჩანაწერებსა“ და სხვა მსგავს ტექნოლოგიებს ერთობლივად მოვიხსენიებთ, როგორც „მზა-ჩანაწერებს“.

2. „მზა ჩანაწერების“ ტიპები

ქუქი-ფაილები ოთხ ძირითად კატეგორიად იყოფა:

აუცილებელი ქუქი-ფაილები (Essential Cookies) – ეს ქუქი-ფაილები აუცილებელია ვებ-გვერდის გამართულად მუშაობისა და სესიის დროს მომხმარებლისთვის კარგი გამოცდილების უზრუნველყოფისთვის. ისინი გვეხმარება საიტზე ავტორიზაციაში, სესიის დროს უსაფრთხოების დაცვასა თუ კალათაში პროდუქტების დამახსოვრებაში. როგორც წესი, ისინი სესიის დასრულებისთანავე ქრება ან გარკვეული დროით ინახება, მათი გათიშვა კი შეუძლებელია, რადგან ეს სავალდებული ქუქი-ფაილებია და აუცილებელია ვებ-გვერდის საბაზისო ფუნქციების შეუფერხებელი მუშაობისთვის.

ფუნქციური ქუქი-ფაილები (Functional Cookies) – ეს ფაილები ინახავენ მომხმარებლის მიერ არჩეულ პარამეტრებს, მათ შორის, როგორებიცაა საიტის ენა, თემა ან თუნდაც შრიფტის ზომა. სწორედ ესაა მისი მთავარი დანიშნულება, ვებ-გვერდზე მომდევნო ვიზიტის დროს, ეს პარამეტრები უცვლელი გვხვდება, როდესაც მომხმარებლის პერსონალიზაცია საიტის ფუნქციონირების მნიშვნელოვანი ნაწილი ხდება.

ანალიტიკური ქუქი-ფაილები (Analytics Cookies) – ვებ-გვერდის მფლობელებს ეხმარება, გაარკვიონ, როგორ იქცევიან მომხმარებლები მათ საიტზე ყოფნისას. ისინი აგროვებენ სტატისტიკურ ინფორმაციას, მაგალითად, რომელი გვერდებია ყველაზე პოპულარული, საშუალოდ რამდენ ხანს ჩერდებიან მომხმარებლები საიტზე, ან საიდან მოდიან ისინი — სოციალური ქსელიდან თუ საძიებო სისტემიდან. ამის კარგი მაგალითია Google Analytics, რომელიც მომხმარებელთა ქცევის შესახებ ინფორმაციას აგროვებს და ამით საიტის მფლობელს საშუალებას აძლევს, ვებ-გვერდის შინაარსი და საიტზე ნავიგაცია, მომხმარებელთა გამოცდილების შესაბამისად გააუმჯობესოს.

მარკეტინგული ქუქი-ფაილები (Marketing Cookies) – შექმნილია იმისთვის, რომ მომხმარებლის ინტერესებისა და ონლაინ ქცევის შესახებ ინფორმაცია შეაგროვოს და ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, პერსონალიზებული რეკლამები შესთავაზოს. მარკეტინგული ქუქი-ფაილები ინახავს ინფორმაციას, თუ რომელ გვერდებს სტუმრობთ საიტზე, რა პროდუქტი თუ სერვისი გაინტერესებთ, ან რას ეძებდით ბოლოს.

3. როგორ და რა მიზნით ვიყენებთ „მზა-ჩანაწერებს“?

ჩვენ ვიყენებთ „მზა-ჩანაწერებს“ ჩვენს ვებ-გვერდზე თქვენი გამოცდილების გასაუმჯობესებლად და ჩვენი ვებ-გვერდის ფუნქციონალების გამოყენების ხელშესაწყობად, თქვენი პრეფერენციების დასადგენად, ასევე, ვებ-ანალიტიკისა და მარკეტინგული მიზნებისთვის. ზოგიერთი ტიპის „მზა-ჩანაწერი“ არსებითად აუცილებელია ჩვენი ვებ-გვერდის ფუნქციონირებისთვის, ხოლო სხვა ტიპის „მზა-ჩანაწერები“ გვეხმარება სერვისების გაუმჯობესებაში.
„მზა-ჩანაწერებს“ ჩვენს ვებ-გვერდზე ვიყენებთ სხვადასხვა მიზნებისათვის, რომლებიც მოიცავს, მაგრამ არ შემოფარგლება, შემდეგს:

- საშუალება მივცეთ მომხმარებელს შევიდეს სადაზღვევო კომპანია ევროინსის ანგარიშზე;
- მოხდეს ანგარიშის მფლობელის მიერ უპირატესობამინიჭებული/არჩეული პარამეტრის იდენტიფიცირება, რათა ის ავტომატურად იქნეს მინიჭებული მომხმარებლის მიერ ჩვენს ვებ-გვერდზე დაბრუნებისას;
- ჩვენი ვებ-გვერდის დატვირთულობის გასაანალიზებლად, რათა სადაზღვევო კომპანია ევროინსს საშუალება მიეცეს განახორციელოს შესაფერისი გაუმჯობესებები;

თუკი „მზა-ჩანაწერები“ შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, მაშინ დამუშავებაზე ასევე ვრცელდება ჩვენი ზოგადი კონფიდენციალურობის პოლიტიკას.

4. რა ტიპის „მზა ჩანაწერებს“ ვიყენებთ ჩვენ?

მზა-ჩანაწერები“, რომლებსაც შესაძლოა ვიყენებთ ჩვენს ვებ-გვერდზე, შეიძლება დაიყოს სხვადასხვა კატეგორიებად/ტიპებად მათი ხანგრძლივობის, წარმოშობის (წყაროს) და მიზნობრიობის მიხედვით, შემდეგნაირად:

ა) ხანგრძლივობის მიხედვით
სესიის „მზა-ჩანაწერები“ (Session Cookies) - დროებითია და წყვეტენ არსებობას ბრაუზერის დახურვის შემდეგ (ან თქვენი სესიის დასრულების შემდეგ).
მუდმივი „მზა-ჩანაწერები“ (Persistent Cookies) - თქვენს მოწყობილობაზე არსებობას განაგრძობენ უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში - მას შემდეგაც, რაც მომხმარებლები დახურავენ ბრაუზერის სესიას.

ბ)წარმოშობის (წყაროს) მიხედვით
პირველი მხარის „მზა-ჩანაწერები“ (First-party Cookies) - განთავსებულია თქვენს მოწყობილობაზე უშუალოდ იმ ვებ-გვერდის მიერ, რომელსაც სტუმრობთ.

მესამე მხარის „მზა-ჩანაწერები“ (Third-party Cookies) - არის „მზა-ჩანაწერები“, რომლებიც განთავსებულია თქვენს მოწყობილობაზე, არა იმ ვებგვერდის მიერ, რომელსაც სტუმრობთ, არამედ საამისოდ ავტორიზებული/უფლებამოსილი მესამე მხარეების მიერ; ასეთი შეიძლება იყოს ის „მზა-ჩანაწერები“, რომლებიც ჩვენს ვებ-გვერდზე დაყენებულია ჩვენი კონტრაქტორების/მომწოდებლების/მომსახურების პროვაიდერების მიერ.

გ)მიზნობრიობის მიხედვით

არსებითად აუცილებელი „მზა-ჩანაწერები (Strictly Necessary Cookies) - აღნიშნული „მზა-ჩანაწერები“ არსებითია ჩვენი ვებ-გვერდის მუშაობისა და გამოყენებისათვის. ისინი უზრუნველყოფენ თქვენ მიერ მოთხოვნილი კონტენტის, პროდუქტებისა და სერვისების მოწოდებას. აღნიშნული ტიპის „მზა-ჩანაწერები“ გამოიყენება სხვადასხვა მიზნობრიობით, მათ შორის, ჩვენს ვებ-გვერდზე ავტორიზაციის/log-in ფუნქციის უზრუნველსაყოფად;

ეს „მზა-ჩანაწერები“ საჭიროა ჩვენი ვებ-გვერდის გამართულად ფუნქციონირებისთვის. თქვენ შესაძლოა გქონდეთ ამ „მზა-ჩანაწერების“ თქვენს მოწყობილობასა და ბრაუზერში დაბლოკვის შესაძლებლობა, თუმცა, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ამ ტიპის „მზა-ჩანაწერების“ თქვენს მიერ შეზღუდვის/დაბლოკვის შემთხვევაში შესაძლოა ჩვენმა ვებ-გვერდმა არ იმუშაოს თქვენი მოლოდინების შესაბამისად და შესაბამისად ვერ ისარგებლოთ მისი ზოგიერთი ფუნქციონალით.

ფუნქციონალური „მზა-ჩანაწერები“ (Functional Cookies) - ისინი გამოიყენება ჩვენს ვებ-გვერდზე დაბრუნებისას თქვენს ამოსაცნობად. ამ ტიპის „მზა-ჩანაწერები“ საშუალებას გვაძლევს დავინახოთ თქვენ მიერ გაკეთებული არჩევანი და დავიმახსოვროთ თქვენი პრეფერენციები, გავაუმჯობესოთ ჩვენი პროდუქტები და ჩვენი ვებ-გვერდის ფუნქციები. ფუნქციონალური „მზა-ჩანაწერები“ იმახსოვრებს ინფორმაციას თქვენს მიერ გაკეთებული არჩევანის შესახებ და გვეხმარება თქვენი გამოცდილების გასაუმჯობესებლად პერსონალიზებული ფუნქციონალების მოწოდებაში. აღნიშნული „მზა-ჩანაწერების“ გარეშე თქვენ კვლავ შეძლებთ ჩვენი სერვისების გამოყენებას, მაგრამ გარკვეული ფუნქციები შეიძლება მიუწვდომელი იყოს. აღნიშნული ტიპის „მზა-ჩანაწერები“ გამოიყენება სხვადასხვა მიზნობრიობით, მათ შორის:

- რათა დავიმახსოვროთ თქვენი პრეფერენციები და პარამეტრები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თქვენი ბოლო ვიზიტის შემდეგ;
- იმის დასამახსოვრებლად, უკვე გკითხეთ თუ არა ჩვენი „მზა-ჩანაწერების“ პოლიტიკის გაცნობის თაობაზე;

მომხმარებლის მიერ არჩეული ვებ-გვერდის თემის შესახებ ინფორმაციის სამართავად.

ზოგიერთ არსებითად აუცილებელ და ფუნქციონალურ „მზა-ჩანაწერებს“ შეიძლება მართავდნენ მესამე მხარეები. ასეთ შემთხვევებში, ჩვენ არ ვაძლევთ მესამე მხარეებს „მზა-ჩანაწერების“ ჩამოთვლილი მიზნებისაგან განსხვავებული მიზნებისათვის გამოყენების შესაძლებლობას.

დ)„პერფორმანსის“ „მზა-ჩანაწერები“ (Performance Cookies)

„პერფორმანსის“ „მზა-ჩანაწერები“ (Performance Cookies) - აღნიშნული „მზა-ჩანაწერები“ აგროვებს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ იყენებთ ჩვენს ვებ-გვერდს. ისინი ასევე გვეხმარებიან ჩვენი მომხმარებლების ინტერესების გაგებასა და ჩვენი ეფექტურობის გაზომვაში. ეს „მზა-ჩანაწერები“ გამოიყენება

სხვადასხვა, მათ შორის, ანალიტიკური და სტატისტიკური მიზნებისათვის, ჩვენი ვებგვერდით სარგებლობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მისაღებად

ე)მიზნობრივი „მზა-ჩანაწერები“ (Targeting Cookies)
ჩვენს ვებ-გვერდზე დაყენებული ეს „მზა-ჩანაწერები“ დაკავშირებულია მესამე მხარეების სარეკლამო სერვისებთან. ასეთი ტიპის „მზა-ჩანაწერებს“ შეუძლიათ თქვენი ბრაუზერისა და მოწყობილობის უნიკალური იდენტიფიცირება და ისინი გამოიყენება სხვადასხვა მიზნებისათვის, მათ შორის:

- ჩვენი სოციალური მედიის გვერდებთან დასაკავშირებლად;
- სარეკლამო მომსახურების პროვაიდერებისათვის თქვენი ვიზიტის შესახებ ინფორმაციის (პირდაპირ ან ირიბად) მისაწოდებლად;
- აუდიტორიის კვლევისა და სეგმენტირებისათვის ინფორმაციის მისაწოდებლად.

5. რა მოხდება თუკი გამოვრთავ „მზა-ჩანაწერებს“?

„მზა-ჩანაწერების“ გამორთვამ თქვენს კომპიუტერზე, ტაბლეტზე, მობილურ ან სხვა მოწყობილობაზე, შეიძლება შეზღუდოს ჩვენს ვებ-გვერდზე თქვენი გამოცდილება. მაგალითად, თქვენ შეიძლება ვერ შეძლოთ ჩვენი ვებ-გვერდის თავისუფლად დათვალიერება ან მისი კონკრეტული ფუნქციონალებით სარგებლობა.

6. როგორ შევცვალო ჩემი „მზა-ჩანაწერების“ პარამეტრები?

თქვენ შეგიძლიათ შეაჩეროთ/შეწყვიტოთ „მზა-ჩანაწერების“ თქვენი ბრაუზერის მიერ ან კონკრეტული ვებგვერდიდან მიღება. ყველა თანამედროვე ბრაუზერი საშუალებას გაძლევთ შეცვალოთ თქვენი „მზა-ჩანაწერების“ პარამეტრები. როგორც წესი, აღნიშნული პარამეტრები შეგიძლიათ იპოვოთ თქვენი ბრაუზერის „Options” ან „Preferences“ მენიუში. აღნიშნული პარამეტრების შესახებ დამატებით ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ გამოიყენოთ ბრაუზერის „Help“ ფუნქციაც. კონკრეტულ ბრაუზერებთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, ეწვიოთ შესაბამისი ბრაუზერის დეველოპერის ვებგვერდს.

„მზა-ჩანაწერების“ თქვენს მიერ გამოყენებული ბრაუზერის საშუალებით კონტროლისა და მართვის შესახებ ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, ეწვიოთ ვებ-გვერდს: ყველაფერი მზა ჩანაწერების შესახებ. აღნიშნული საშუალებას მოგცემთ მიიღოთ „მზა-ჩანაწერების“ კონტროლისა და წაშლის შესახებ ინსტრუქციები. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი სხვა ვებ-გვერდებზე განთავსებული ინფორმაციის შინაარსზე და „მზა-ჩანაწერების“ გამორთვის შემთხვევაში თქვენ შესაძლოა ვერ ისარგებლოთ ჩვენი ვებ-გვერდის ყველა ფუნქციონალით.

7. ცვლილებები „მზა-ჩანაწერების“ პოლიტიკაში

ჩვენ ვიტოვებთ აღნიშნულ „მზა-ჩანაწერების“ პოლიტიკაში ცვლილებების შეტანის უფლებას, რის თაობაზეც გამოვაქვეყნებთ ჩვენს ვებ-გვერდზე.